შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656

(ცვლილება: №80/ი; 31.01.2019) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება / Crane and Related Plants Operation საფუძველზე.

პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს „მეტალექს-ტრანსი“
2. შპს „ჯორჯია ტრანს ექსპედიცია -ფო



ფერმერი მემცენარე - 0811

მიმართულება - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია

(განხორციელების ადგილი - ხობის მუნიციპალიტეტი-სოფელი ნოჯიხევი.)

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: სოფლის მეურნეობა/Agriculture

2. ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სარეგისტრაციო ნომერი 09114-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED) შესაბამისობაშია 081 სოფლის მეურნეობა - მემცენარეობა და მეცხოველეობა, აღმწერი - „შეისწავლის მცენარეული კულტურების მოყვანას და მოვლას, ასევე ცხოველების მოშენებას, კვებასა და მოვლას. ის მოიცავს აგრარული მეურნეობის მენეჯმენტსა და ფუნქციონირებას და ასევე გადაუმუშავებელი მცენარეული და ცხოველური პროდუქციის წარმოებას“.

4. მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა

დაშვების წინაპირობები- მოდულური პროგრამისთვის-სრული ზოგადი განათლება ინტეგრირებული პროგრამისთვის-საბაზო განათლება

5. დასაქმების შესაძლებლობები - კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას. შესაბამისი კონცენტრაციის/არჩევითი მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულის დასაქმების პოზიციებია:

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ფერმერობის მიმართულებით - ფერმერი

6. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული დასაქმების პოზიციები

ძირითადი ჯგუფი 6 სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის სფეროს კვალიფიციური მუშაკები

ქვეჯგუფი 61; მცირე ჯგუფი 611; მცირე ჯგუფი 612; მცირე ჯგუფი 613; მცირე ჯგუფი 631

- ბაზარზე ორიენტირებული მეზაღეები და სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები
- მემინდვრეები და მებოსტნეები
- ხეხილისა და კენკროვანი კულტურების მწარმოებლები
- მეზაღეები, სანერგეების სხვა მუშაკები
- შერეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები
- თვითმომხმარებელზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლები

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)

სექცია – A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, აღმწერი - „მცენარეული და ცხოველური ბუნებრივი რესურსების გამოყენება, რაც შეიცავს კულტურების მოყვანას, ცხოველების მოვლასა და მოშენებას, მერქნის მიღებასა და სხვადასხვა მცენარეების მოყვანას, ცხოველების და თევზის მოშენებას და ცხოველური წარმოების პროდუქტების მიღებას სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და ბუნებრივ გარემოში“.

7. **სტრუქტურა და მოდულები:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - სოფლის მეურნეობა მოიცავს 7 ზოგად მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 21 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 57 კრედიტის ოდენობით და 6 არჩევით მოდულს 15 კრედიტის ოდენობით, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში-5 მოდული 60 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-22 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 90 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-16 თვე.
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის მოცულობაა 178 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა- 36 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის, ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის მოცულობაა 148 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-30 თვე.

№	ზოგადი მოდულები საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
2	რაოდენობრივი წიგნიერება *	2
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	უცხოური ენა (ინგლისური)	5
5	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
6	სურსათის უვნებლობა	2
7	საქართველოს ფლორა	2
8	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
9	მათემატიკური წიგნიერება	14
10	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
11	მეწარმეობა	4
12	მოქალაქეობა	10
ჯამი:		78

№	პროფესიული მოდულები საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	წინაპირობა	კრედიტი
1	მემცენარეობის ბიოლოგიური საფუძვლები	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
2	ნიადაგის დამუშავების საფუძვლები	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
3	თესლბრუნვა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
4	თესვა და რგვა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	3
5	მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
6	მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2

7	ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება - დაცვა	მოდული: ნიადაგის დამუშავების საფუძვლებ	2
8	მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა	მოდული: მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა	2
9	მინდვრის, ბოსტნეული და საკვები კულტურების შერჩევა	მოდულები: თესლბრუნვა, თესვა და რგვა.	3
10	მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება	მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა, მემცენარეობის ბიოლოგიური საფუძვლები, მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა	3
11	საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
12	მდელიოდ საკვებწარმოება	მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა, ნიადაგის დამუშავების საფუძვლები, თესვა და რგვა, მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა	3
13	მდელის მართვა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	2
14	მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების გამოკვება	მოდული: ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება და დაცვა; მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა	2
15	მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების დაცვა	მოდული: მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა	3
16	მოსავლის აღება-შენახვა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	4
17	პროდუქციის დასაწყობება -რეალიზაცია სოფლის მეურნეობაში		4
18	ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალის წარმოება	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა	4
19	აგრობიზნესის ადმინისტრირება	მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა, ინფორმაციული წიგნიერება 1, სურსათის უვნებლობა	5
20	დახურული გრუნტის მოწყობა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	2
21	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება დახურულ გრუნტში	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	3
ჯამი:			57
არჩევითი მოდულები			
1	ბოსტნის მოწყობა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	3
2	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოვლა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	2
3	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების დაცვა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	3
4	ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლის აღება - შენახვა	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	3
5	მცენარის განვითარების სტადიების მართვა და კულტურათა ფორმირება დაცულ გრუნტში	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	2
6	მეხილეობის ბიოლოგიური საფუძვლები	მოდული: გაცნობითი პრაქტიკა-სოფლის მეურნეობა	2
ჯამი:			15
სულ:			150

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

სოფლის მეურნეობის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეაფასოს და დაამუშაოს ნიადაგი;
- დაგეგმოს თესლბრუნვა;
- უზრუნველყოს მცენარეთა დაცვა;
- აწარმოოს ხეხილოვანი კულტურების სარგავი მასალა;
- უზრუნველყოს მცენარეთა გამოკვება;
- აიღოს მოსავალი;
- მართოს ფერმერული მეურნეობა;
- დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება.
- შეარჩიოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების სახეობა, ჯიში/ჰიბრიდი;
- გამოკვებოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები;
- მოამზადოს სუბსტრატი და აწარმოოს ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების ჩითილი;
- უზრუნველყოს ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლის აღება-შენახვა-რეალიზება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა ერთი პროფესიული პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პრეროგატივას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი-სოფლის მეურნეობა/Agriculture - 09114-3
- ✓ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანება №170/ნ -საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს "ხარება"
2. რ/კ ხორგის სათბურები
3. შპს საქართველოს მელიორაცია
4. ი/მ სერგო ბერაია
5. რ/კ "შამათია"



ფლორისტიკა - 0214

მიმართულება - ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფლორისტიკა / Floristry
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - 02124-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფლორისტიკაში / Basic Vocational Qualification in Floristry

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „გამოყენებითი ხელოვნება(ხელნაკეთობა)“, კოდი 0214, აღმწერი - შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“.

4. მიზანი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დაწესება, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ფლორისტს, რომელიც შეძლებს მცენარეთა მხატვრული არანჟირებით შექმნას ფლორისტული კომპოზიციები და თემატური გაფორმებები. ამასთანავე, საჭირო კომპეტენციებით აღჭურვილმა თავისი პროფესიული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისას მხატვრულად გააფორმოს ექსტერიერი და ინტერიერი სხვადასხვა მასალითა და სპეციალური მეთოდების გამოყენებით.

5. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ფლორისტიკაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ფლორისტული სალონში, ივენთკომპანიაში, ყვავილების მაღაზიაში, სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში (სასტუმრო, რესტორანი და სხვა). შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 32.99. 32.99.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7317

7. სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით და 10 პროფესიულ მოდულს - ჯამური 38 კრედიტის რაოდენობით, საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ფლორისტიკაში, პირმა უნდა დააგროვოს 53 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 68 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 (15 კრედიტი).

მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროგრამის ხანგრძლივობა:

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 68 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა- 12 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 53 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-9 თვე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	მეწარმეობა 1	2
4	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5	სამოქალაქო განათლება	2
6	უცხოური ენა	4
სულ		16
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - ფლორისტიკა	2
2	ესკიზის შექმნა	5
3	ფლორისტული კომპოზიციების შექმნა	12
4	თაიგულის შექმნა	3
5	კომპოზიციების შექმნა ქოთნის მცენარეებით	1
6	საქორწილო ფლორისტიკა	2
7	სამგლოვიარო ფლორისტიკა	2
8	ინტერიერის და ღია სივრცის გაფორმება	2
9	საშობაო გაფორმება	2
10	პრაქტიკული პროექტი - ფლორისტული გაფორმების შესრულება	6
სულ		37

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები
კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ფლორისტული ნაკეთობები კომპოზიციის პრინციპების გამოყენებით
2. შექმნას ფლორისტული ნაკეთობები სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით
3. დაამუშაოს საჭირო მასალები
4. შექმნას ფლორისტული ნამუშევრის ან გაფორმების წინასწარი ესკიზი
5. შეასრულოს თემატური ფლორისტული გაფორმება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ვაზისი“ პრეროგატივას.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პარტნიორი ორგანიზაციები:

- ი/მ ნინო ქორჩილავა - მაღაზია „ყვავილების სამყარო“
- ი/მ თამარ კვიციანი - მაღაზია „მაიკოს ყვავილები“
- ი/მ ბელა ეჯიბია
- ი/მ ზაირა სიჭინავა
- ი/მ დარეჯან პაპავა



„ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება“ - 0214

მიმართულება - ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა- ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება / Wood, Stone and Metal Artistic Processing
2. სარეგისტრაციო ნომერი - 02123-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში / Basic Vocational Qualification in Wood Artistic Processing

მისანიჭებელი კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - „შეისწავლის ხის დამუშავების ტექნიკასა და უნარებს“;

4. მიზანი

„ხის მხატვრული დამუშავების“ პროფესიული პროგრამის მიზანია, მომზადდეს ხის მხატვრული დამუშავების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

5. დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ხის მხატვრული დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.

პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 16.29; 16.29.0; 31.0; 31.01; 31.01.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 7522; 7523.

7. სტრუქტურა და მოდულები

„ხის მხატვრული დამუშავება“ მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის რაოდენობით, 2 არჩევითი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის რაოდენობით. ხის მხატვრულ დამუშავებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 89 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 104 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 (15 კრედიტი).

მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4

მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 104 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21 თვე.
- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 89 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-18 თვე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	მეწარმეობა 1	2
4	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5	სამოქალაქო განათლება	2
6	უცხოური ენა	4
სულ		16
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
2	ხაზვა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავებისთვის	3
3	ძერწვის საწყისები	3
4	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა Photoshop CS	3
5	გაცნობითი პრაქტიკა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება	3
სულ		16

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მერქნისა და მერქნული მასალებისაგან ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიები	8
2.	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის	6
3.	ხეზე მხატვრული კვეთა	6
4.	მოზაიკური ტექნოლოგიით ნიმუშის დამზადება	4
5.	ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით	5
6.	ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობების დამზადება	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის 6
7.	ხის წნული ნაკეთობების დამზადება	3
8.	ხის ნაკეთობათა შეკეთება	3
9.	პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში	პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული 5
სულ		46

ხის მხატვრული დამუშავების არჩევითი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება	7
2.	იატაკის მოწყობა	4
სულ:		11

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი
2. დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა
3. ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები
4. განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში
5. განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება
6. დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით
7. შექმნას ხის წნული ნაკეთობები
8. განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამოხატულება), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვლადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროეგატივას.

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პარტნიორი ორგანიზაციები:

1. ი/მ ავთანდილ ალასანია
2. შპს „ანდრიანი“
3. შპს „არტ ფაზისი“



„სკოლამდელი აღზრდა“- 0112

მიმართულება - განათლება

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა: - აღზრდელი
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - 02117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education
4. მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება
6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

7. სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს ზოგად სავალდებულო 3 მოდულს ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. 24 სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივ მოდულს, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით. უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სკოლამდელ აღზრდაში, პირმა უნდა დააგროვოს 116 კრედიტი. ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტებმა კი 146 კრედიტი, რომელშიც შედის ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულები (30 კრედიტი).

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. „პრაქტიკული პროექტი“ განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

მოდულების, ქართული ენა A2 და B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროგრამის ხანგრძლივობა:

- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 146 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-26 თვე.

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობაა 116 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა-21 თვე.

№	ზოგადი მოდულები	დაშვების წინაპირობა	კრედიტი
6.	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
7.	უცხოური ენა (ინგლისური)	საბაზო განათლება	5
8.	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
ჯამი:			11
№	პროფესიული /დარგობრივი მოდულები	დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	2
2.	პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება	სრული ზოგადი განათლება	12
3.	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	5
4.	პროფესიული ეტიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
5.	ბავშვის განვითარების თავისებურებები	სრული ზოგადი განათლება	4
6.	ადრეული განათლების კურიკულუმები	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების თავისებურებები 	5
7.	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების თავისებურებები 	6
8.	დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების თავისებურებები ადრეული განათლების კურიკულუმები საგანმანათლებლო გარემო ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
9.	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	სრული ზოგადი განათლება	3
10.	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	სრული ზოგადი განათლება	6
11.	თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების თავისებურებები ადრეული განათლების კურიკულუმები 	2
12.	საგანმანათლებლო გარემო	მოდულები: <ul style="list-style-type: none"> შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ბავშვის განვითარების თავისებურებები 	8

		<ul style="list-style-type: none"> • ადრეული განათლების კურიკულუმები • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	
13.	ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული განათლების მეთოდოლოგია 	2
14.	ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული განათლების 	9
15.	კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო 	4
16.	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	5
17.	წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
18.	სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ადრეული განათლების კურიკულუმი • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში • საგანმანათლებლო გარემო 	3
19.	პერფორმანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების 	3

		<p>თავისებურებები</p> <ul style="list-style-type: none"> • ადრეული განათლების კურიკულუმი • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	
20.	მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმი • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	4
21.	კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმი • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	5
22.	კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმი • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	3
23.	ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმი • დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში 	2
24.	მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	<p>მოდულები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი ადრეულ და 	3

		სკოლამდელ განათლებაში <ul style="list-style-type: none"> • ბავშვის განვითარების თავისებურებები • ადრეული განათლების კურიკულუმი • საგანმანათლებლო გარემო • ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია 	
	ჯამი		105
	სულ:		116

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგები

სკოლამდელი აღზრდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
- ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამოხატუებობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის

უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება: კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ვაზის“ პრეროგატივას. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისას, ხოლო კვალიფიკაცია ენიჭება მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „გიმნაზია“
- „ი/მ ნანა კულუა „



მებაღეობა - 0820

მიმართულება - სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია

(განხორციელების ადგილი - ხობის მუნიციპალიტეტი სოფელი ნოჯიხევი)

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა - მებაღეობა / Horticulture
2. სარეგისტრაციო ნომერი -08111-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მებაღეობა, კოდი: 0812, აღმწერი - „შეისწავლის მებაღეობის ტექნოლოგიებსა და მენეჯმენტს, მეყვავილეობას, სასათბურე მეთოდებს, სანერგების მართვას, ლანდშაფტის მებაღეობასა და სხვა“.

4. მიზანი

